სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 52

ქ. ბათუმი 07 მარტი, 2022 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაკინთე ჩხარტიშვილის სახით და მეორე მხრივ ი.მ. „ინდირა ფარტენაძე" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1] ქვეპუნქტის და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის გიორგი თავამაიშვილის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 22 0000226409. 04/03/2022) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის)ობიექტი

ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - საქართველოს სახელმწიფო დროშა (CPV: 35821000).

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **250 (ორასს ორმოცდაათი)** ლარს. 1 დროშა (6.5x3მ).

2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

2.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება,მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6. დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით განახორციელებს **სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის გიორგი თავამაიშვილი.**

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2022 წლის 10 მარტისა.

4.2. მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი ნინოშვილისქ. №35.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და ,,მიმწოდებელის” მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მიწოდების ადგილზე.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2022 წლის 10 აპრილამდე.

12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს.ნ. 245 428 158 ბ/კ: TRESGE22
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

იაკინთე ჩხარტიშვილი

„მიმწოდებელი“

ი.მ. „ინდირა ფარტენაძე“
ს.კ. 61006017012
მის. ბათუმი. ნაჭყებიას N41
ს.ს. ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBG22
ანგ. №GE87TB7297145061610001 7

ინდირა ფარტენაძე